# სახალხო გაზეთი

№ 240 პარასკევი, 25 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 240

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იანახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალ კე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არ ექნებათ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებული იქნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიური ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ეკატერინე გრიგოლის ასული მიქელაძისა, მელიტონ გლახუას ძე მიქელაძე შვილებითურთ, გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე შვილებითურთ და ბონდო მიქელაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 თებერვალს ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი

ალექსანდრა (მატუა) მიხეილის ასულის ჩხეიძისა და ალექსანდრე (კუჭია) მელიტონის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლად. (2—473—2)

კესარია, ნინა, ძაძუ, მიშა და სერიოჟა იორაიშვილები, ათინა და ივანე ბოლქვაძეები, კატო და ისიდორე კვაშლები, ანუ ურუშაძისა და თამარა და ივანე კაჩუხოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ

ანდრია მიხეილის ძის იორაიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 27 თებერვალს, დილის 9 საათზე, სოფელ შემოქმედში; დაკრძალვა შემოქმედის წმ. გიორგის ეკლესიაზე. (2—474—2)

ქვრივი ვიქტორია ვიჩესლავის ასული, ანასტასია სოლომონის ასული, ელისაბედ გაბრიელის ასული და ივანე და ნიკოლოზ გიორგის ძენი ყარანგოზიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა საყვარელ მეუღლისა, ხოლო მეორეთა ძმის, პოლკოვნიკის

დიმიტრი (მიტო) გიორგის ძის ყარანგოზიშვილის

უეცრად გარდაცვალებას, ხარაბაში (პრიმორსკის მხარე). პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დღეს, 25 თებერვალს, შუადღის 12 საათზე. (1—476—1)

22 თებერვალს, ხარაბაში (პრიმორსკის მხარეს) უეცრად გარდაიცვალა პოლკოვნიკი

დიმიტრი (მიტო) გიორგის ძე ყარანგოზიშვილი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მარიამ დიმიტრის ასული და შვილები: კნეინა ნინო დიმიტრის ასული ავალიშვილისა, კნეინა ნატალია დიმიტრის ასული მაყაშვილისა, სალომე და ელენე დიმიტრის ასულნი და მიხეილ და გიორგი დიმიტრის ძენი. პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დღის, პარასკევს, 25 თებერვალს, შუადღისას, 12 ს.-ზე. (1—478—1)

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას. პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთის“ გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემისთაობაზე მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ს. რცხილაძეს (იზმაილ. ქ. № 2. (0—19)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

1. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
2. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
3. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
4. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
5. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.— 1090—566)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სამშობლო“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა.

მიჰმართეთ ერასტი დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## 8 თებერვლიდგან გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“

ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

## 1 მარტიდან ტფილისში

გამოვა ყოველ-დღიური სამეცნიერო-საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“.

რედაქციის დროებითი ადრესი: Головинскій проспектъ, типографія Кереселидзе, (противъ разгонной почты). (3—1)

## გამგეობა ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ წევრთა მორიგი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია მიმდინარე 1911 წლ. მარტის 13-ს დღ. ადგილობრივ კლუბის დარბაზში დილის 9 საათზე. რისთვისაც გამგეობა სთხოვს წევრთ, დაესწრონ კრებას.

განსახილველი საგნებია:

1) ოხხენებანი: საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.
2) განხილვა და დამტკიცება 1910 წ. ანგარიშისა.
3) განხილვა და დამტკიცება 1911 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
4) არჩევა: ა) ორი საბჭოს წევრისა, ბ) ერთი გამგეობის წევრისა, გ) სარევიზიო კომისიის წევრების და მათის კანდიდატებისა, რომლებიც იცვლებიან თანახმად წესდების 44, 53 და 70 §§-სა. (3—1087—3)

## გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

ამით აცნობებს ამხანაგობის წევრთ, რომ წლიური კრება ამხანაგობისა დანიშნულია 27 თებერვალს. კრების განსახილველი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება 1909—1910 წლ. ანგარიშებისა.
2) გათვალისწინება ამხანაგობის მომავალ და დღევანდელ მდგომარეობისა.
3) კრედიტის გახსნის შესახებ.
4) არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა.
5) არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა.

უკე თუ ეს პირველი კრება არ შესდგება იმ შემთხვევაში მეორე კრება მოხდება 27 მარტს ამა წლისა, დილისით დილის 10 საათიდან ამხანაგობის სამმართველოში, ს. კუხში. ეს მეორე კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(2—1101—1) მმართველი ამხანაგობისა კ. ცაგარეიშვილი.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულავოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—403)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე მზა ხანებათ საგანგებო შესახვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ვპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—9)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (80—405—47)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე ...ის ქ. № 9 (ფ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა № 7. თ.—189—94

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—86

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ...ის სახლი. (50—15—32

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაპარიძისა. (ფ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. ჰაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა (ფ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გუდოვიჩისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—320

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოღანოვის ქ., N 20. (0—6.—53)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბატონ-ყმობის გაუქმების 50 წლის თავის დღესა! წარსულმა ბევრი მითქმა-მოთქმა და აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ზოგს ვარდის-ფრად ესახება მისი არსებითი შედეგები, ზოგს გულს აკლია, რომ 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ ძირითადი ცვლილება და გლეხთა ნამდვილი განთავისუფლება, ანუ გათარხნება ვერ მოახდინა.

„ნოვოე ვრემია“ ამის თაობაზე სწერს:

რა თქმა უნდა, ჩვენში ბატონ-ყმობა იმ საშინელებამდე არასოდეს არ მისულა, როგორც ჩრდილო-ამერიკასა, რომსა და საშუალო საუკუნეთა ევროპაში იყო. ჩვენში კაცის კვლა ყოველთვის სისხლის სამართალს ექვემდებარებოდა, ბატონს ყმის მოკვლის უფლება არა ჰქონდა. მაგრამ ჩვენებურ ბატონ-ყმობას სხვა ქვეყნები ხშირად მონობას უთანაბარებდნენ.

ჩვენში ბატონს შეეძლო ყმა გაეყიდნა, რომელიმე ნივთზე გაეცვალნა, გაეციმბირებინა ან ჯარის კაცად გაეგზავნა (მაშინ 25 წელიწადსა მსახურებდნენ ხოლმე). ბატონს შეეძლო ერთი ოჯახის წევრები მთლად დაექსაქსნა, სხვა და სხვა მხარეს გაეყიდნა; გაყიდულნი ერთმანეთს ისე სასიკვდილოდ განწირულებივით ეთხოვებოდნენ, რადგანაც იცოდნენ რომ ვერასოდეს ველარ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ბატონს უფლება ჰქონდა, ყმა გაელახა, ეწამებინა, დაესახიჩრებინა...

საშინელი სიტყვებია... მაგრამ რა საშინელება უნდა ყოფილიყო თვითონ ფაქტები...

ბევრგან ბატონ-ყმობა, რუსულ გულჩვილობის წყალობით, უფრო ასატანი იყო, ზოგან კი რუსულ თავ-აშვებულობისა და სიმკაცრის მეოხებით საშინელებამდე აღწევდა.

ყმა ბატონის საკუთარ ნივთს წარმოადგენდა... დიაღ ამ მხრივ ჩვენში მონობა იყო... დაკანონებული მონობა!..

50 წლის წინედ — მონად ნამყოფი გლეხი დღეს — კანონმდებელია!

50 წლის წინედ უცხო ბატონს შეეძლო ყმა-გლეხი გაეჯოხნა, გაეყიდნა, გაეციმბირებინა, ნახევარ საუკუნის შემდეგ კი მას სხვა ბატონი აღარ გააჩნია, გარდა უფლისა!

ადამიანურ უფლებათა სრული აღდგენა!

აი, რასა ვდღესასწაულობთ დღევანდელ დღეს.

„მონა“ 50 წლის წინედ — დღეს „ნამდვილი მოქალაქეა“, „მოქალაქე პოლიტიკურის უფლებით აღჭურვილი“...

დღევანდელ დღეს ყველანი უნდა გადავეხვივნეთ ერთმანეთს... ეს დღე გვავალებს რომ სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი ვიგრძნოთ... თუ წინედ მოედანზე გასაწკეპლად გაჰყავდათ ყმები, დღეს იმავ მოედანზე, ტავრიდის სასახლეში ძველი ნაყმევი გლეხი მეფესთან ერთად საქვეყნო საქმეებზე თათბირობს...

„ადამიანურ ღირსებათა სრული აღდგენა!..“

ჭეშმარიტად, მხოლოდ „დარბაისელ“ „ნოვოე ვრემიას“ შეუძლიან ასეთ დასკვნამდე მისვლა.

## სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან 24 თებერვალი

თავჯდომარეობს აკიმოვი. საბჭო იხილავს კომისიის მოხსენების, იმ კანონ. პროექტის შესახებ, რომელიც ეხება საგლეხო ბანკებს. ამ კანონ-პროექტის ძალით უნდა გადასწყდეს შესაძლებელია თუ არა მიეცეთ საგლეხო ბანკებს უფლება შემდეგშიაც შეისყიდონ ადგილ-მამულები თავის ხარჯით. მომხსენებელი ვასილიევი ამბობს, რომ კომისსიაში წევრთა მომეტებულ ნაწილს ჰსურდა სათათბიროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი უცვლელად დარჩენილიყო: შემცირებულიყო მხოლოდ ვადა 2 წლით. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1895 წ. საბჭო წინაღმდეგი იყო რომ ბანკს სყიდვა გაყიდვის ოპერაციების უფლება მერჩენოდა, რადგან ეს ზიანს მოუტანს მის კრედიტსაო. ეს ბანკის მოღვაწეობამ და მოქმედებამ ნათლად დაგვიმტკიცა: როცა დაიწყეს მემამულეთა აკლება, ამ უკანასკნელთ შიშით გადასწყვიტეს გაეყიდათ თავისი მამულები. ამის გამო მამულების ფასმა აიწია და გლეხსაც სარგებლის მიცემა გაუძნელდათ. მთავრობამ საჭიროდ დაინახა ნაწილი ამ ფულისა ხაზინისთვის დაეკისრა, მაშასადამე ამ ოპერაციამ გაჭირვებაში ჩააგდო როგორც მემამულენი ისე გლეხები და ხაზინაც აზარალა. ამ ორი წლის წინად საბჭოს სურდა ბანკისათვის მიწების შეძენის უფლება შეეკვეცა. ეხლა კი ჩვენ შეძლება მოგვეცა სისრულეში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ამ კანონ-პროექტის უარყოფით.

ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სათათბირო დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საკითხს. მინისტრი ამ საქმეს ეხება ისტორიული მხრით და მოჰყავს ის არგუმენტები, რომელზედაც მოწინააღმდეგენი ამყარებენ ამ კანონ-პროექტს. მინისტრი წინააღმდეგია აგრეთვე იმ მოსაზრებისა, ვითომ ბანკის მოქმედებამ ვნება მოუტანა როგორც სახელმწიფოს ისე მემამულეთ და გლეხებს.

შემდეგ მინისტრი მთავრობის სახელით აცხადებს, რომ არ შეიძლება ეს საკითხი ნახევრად გადაწყვეტილი დარჩეს და მოითხოვს კანონ-

პროექტი სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით იქმნას მიღებული.

დურნოვო. კანონ-პროექტის წინააღმდეგია.

გრაფი ვიტტე მომხრეა კანონ-პროექტისა და ამტკიცებს, რომ მთავრობა ხელს უწყობს როგორც გლეხებს, ისე თავად-აზნაურობასაო.

კარპოვი კანონ-პროექტის წინააღმდეგია. საკითხს კენჭი უყარეს. კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით იქმნა მიღებული.

შემდეგი სხდომა 1 მარტს მოხდება. განსახილველად დანიშნულია წვრილი კანონ-პროექტები.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

ალექსეენკო, ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის თავმჯდომარე: ხაზინის ნაღდ ფულის საკითხმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია და ფინანსთა მინისტრის პასუხიც გამოიწვია. დარჩენილი თანხა რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარებას უნდა მოვახმაროთ. 88 მილიონ მანეთის უმოქმედოდ შენახვა იმ დროს, როდესაც ათასი დაუყოვნებელი საჭიროებანი კარზე გვადგია შეუწყნარებელია.

ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის აზრით საკანონმდებლო დადგენილებანი კანონთა დებულების 86 მუხლს უნდა ექვემდებარებოდეს, ეგრედ წოდებული სამხედრო კანონმდებლობა ტეხნიკურსა და სამეურნეო დარგებს უნდა ეხებოდეს და არა ფინანსიურს. მე-96 მუხლის ძალით, თანხის გადადება კანონმდებლობითის წესით უნდა ითხოვონ ხოლმე.

ორატორი დაასკვნის, რომ სახელმწიფოს ძლიერება ხარჯთა გონივრულ და სასარგებლო განაწილებაში გამოიხატება, ხოლო შესაიარაღებლადაც უნდა გადაიდოს უწყებული თანხა, იმისდა მიხედვით თუ საერთაშორისო პოლიტიკა რა პირობებში იმყოფება. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ცალკ-ცალკე სმეტის განხილვას იწყებენ.

უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის მომხსენებელი კოვალევსკი: სინოდის ხარჯი სამ მილიონ მანეთით გაიზარდა. საეკლესიო საქმეების წარმოება წინ იწევს. ეპისკოპოსთა ჯამაგირების გათანასწორება სასურველია. საჭიროა სტატისტიკურ ცნობათა, დაზღვევისა და სხვა საქმეთა რიგიანად მოწყობა. ორატორი იმედოვნებს, რომ ამ გარდამავალ ხანას ეკლესია მშვიდობიანად გაივლის, პოლიციის დაუხმარებლადაც გამარჯვების ლელოს გაიტანს, თუ კი თვით გაუმჯობესების გზას დაადგება.

ორატორთა სია დახურეს. ჩაწერილია 15.

უწ. სინოდის ობერ-პროკურორი: ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: სასულიერო წოდების ხარჯთ-აღრიცხვა დამაკმაყოფილებელია როგორც ამ უწყებისა, ისე საკანონმდებლო დაწესებულების შენიშვნებისა. მრევლის განსამტკიცებლად განზრახულია, რომ სამრევლო საქმეებში ყველა წევრები ილებდნენ მონაწილეობას, როგორც იურიდიული პიროვნებანი. კონსისტორიის შტატის ცვლილებაზე შესაფერი კანონ-პროექტი უკვე შეტანილია მინისტრთა საბჭოში და მახლობელ მომავალში სათათბიროს წარედგინება. ობერ-პროკურორი ემხრობა სათათბიროს აზრს, ისეთ მონასტრებს, და საზოგადოებათ, რომელნიც ქველმოქმედებას ეწევიან, დახმარება ეძლეოდეთ ხაზინიდან.

„წითელ ჯვრის" საზოგადოებას განზრახვა აქვს მონაზონები მოწყალების დებად მოამზადოს. აგრეთვე აღძრულია სამღვდელოების ჯამაგირებით. უზრუნველყოფის საკითხი. სასულიეროწოდება არ დაივიწყებს, რომ ეს საქმე მესამე სათათბირომ ითავა.

საშუალო სასწავლებელთა პროგრამის ცვლილება ობერ-პროკურორის აზრით, ისე უნდა მოხდეს, რომ იგი საშუალო საერთო განათლების კურსს არ გასცილდეს, ხოლო მხედველობაში იქნება მიღებული უმთავრესად მწყემსებრივი აღზრდა სასულიერო სკოლებში.

ეპისკოპოსი ევლოგის პროექტი დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია, რადგანაც იგი კანონიურსა და იურიდიულ საფუძველზე არ ემყარება. დღეს ეკლესიის გამგებლობა სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირზე დამყარებული პეტრე დიდის განმარტებით, ხოლო სახელმწიფო ელემენტი კი სჭარბობს. ორატორსა ჰსურს ეპარქიის პროკურორების განწესებით, ეპისკოპოსთა უფლებანი გააქარწყლოს. სათათბირო, სადაც ურწმუნონიც ურევიან, მართლმადიდებელ ეკლესიის რეფორმებს არ უნდა ჰკიდებდეს ხელს: ეს— საყოველთაო საეკლესიო კრების საქმეა, რომლის მოწვევაც უნდა დავაჩქაროთ. ორატორს მოსწონს ეპისკოპოსთა ჯამაგირების გათანასწორების განზრახვა და სამწუხაროდა რჩება, რომ ეს აზრი სასულიერო წოდებამ არ წამოაყენა. მისის აზრით, ეპისკოპოსებს ახდერძის დატოვების უფლება არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მათი ქონება ეკლესიას ეკუთვნის. სასულიერო წოდებისათვის საჭიროა ისეთი სასწავლებელი, სადაც რიგიან მწყემსს მოამზადებენ.

გუჩკოვი თავმჯდომარეობს.

მამა გეპეცკი. პროექტში აღნიშნულ საეპარქიო პროკურორებს რაღაც რეაქციის სუნი უდის. ეს პროკურორები ერთგვარი გუბერნატორებია ადგილობრივ საეკლესიო საქმეებში. პეტრე დიდმა მხოლოდ ერთი პროკურორი განაწესა, მომხსენებელს კი ჰსურს ყველა ეპარქიებში იყოლიოს იგინი. ისეთებიც გამოჩნდებიან, რომ მაზრებსა და მრევლებშიაც მოისურვებენ პროკურორების დანიშვნას. რას დაემსგავსება მაშინ მართლ-მადიდებელი ეკლესია? საეკლესიო რეფორმები მხოლოდ ეკლესიის მთავრობამ უნდა მოახდინოს, ამისათვის აუცილებლად საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა დააჩქარონ.

მამა ტიტოვი. რუსეთის სამღვდელოებას იგივე პოზიცია უჭირავს, რაც საფრანგეთის სამღვდელოებას ნაპოლეონ მესამის დროს ეჭირა... საფრანგეთის კლერიკალებმა თავისი ბედი რეაქციის ბედთან გადააბეს და ამით სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევებას ნიადაგი შეუმზადეს. მე რუსეთის ხალხის კავშირის წევრი არა ვარ (მარცხნივ ტაშის ცემა). სამღვდელოების სახელის აღსადგენად საეკლესიო კრების მოწვევაა საჭირო, რათა მრევლსა და მღვდელს შორის ჩატეხილი ხიდი გაიდოს (მარცხნივ ტაშის ცემა).

წინადადება შეაქვთ ორატორების სიტყვა 10 წუთით განსაზღვრონ.

ბულატი. ამ წინადადებითა ჰსურთ გლეხებსა და მუშებს თავისი მოსაზრების თქმა აუკრძალონ. ამაში თავმჯდომარეც დამნაშავეა, რადგანაც ორატორთა რიგს თავის ნებაზე სცვლის ხოლმე.

თავმჯდომარე. თავმჯდომარენი ყოველთვის წესიერად იქცევიან და გთხოვთ ტყუილად ცილს ნუ სწამებთ.

ბულატი. პირად საქმეზე სიტყვას ითხოულობს.

თავმჯდომარე ნებას არ აძლევს.

108 ხმით, 84 წინააღმდეგ ორატორთა სიტყვას 10 წუთით საზღვრავენ.

როჟკოვი. სათათბიროს უმრავლესობა გლეხობის წარმომადგენლობას ყოველთვის პირზე ხელს აფარებს, ამისათვის სიტყვაზე უარს ვამბობ...

სურკოვიცი. როკოვს ემხრობა.

თომაშინინი. წინადადება შეაქვს, ერთი მილიონი მანეთი ცალკე გადასდონ იმ სამრევლო სკოლათა მასწავლებელთა ჯამაგირების მოსამატებლად, რომელიც საერთო სკოლების ფარგალში მოექცევიან.

სადამოს სხდომაზე გუჩკოვი თავმჯდომარეობს.

გეგეჭკორი. მემარჯვენეთა შეკითხვას ეხება სტუდენტთა მოძრაობის თაობაზე. ს.-დემოკრატებსა ჰსურთ სტუდენტოებას ის ჭუჭყიანი ცილის წამებანი ჩამოაშორონ რითაც გაღენთილია მემარჯვენეთა შეკითხვა. ასეთი „საბუთები" პურიშკევიჩებმა და ზამისლოვსკებმა შეიტანეს, რათა სტუდენტთა მოძრაობის ნამდვილი მნიშვნელობა გააქარწყლონ და იმ პოლიტიკურ სიმაღლიდან ჩამოიყვანონ, რაზედაც პირობათა განწყობილებამ აიყვანა.—ორატორს აკვირვებს, რომ საიდუმლო ფულითა და სუფსიდიებით გასიკნული ხალხი როგორა ჰბედავს უანგარო ბაზე პატიოსნებაზე და სხვა უმაღლეს მატერიებზე სიტყვის დაძვრას: განუზომელია ასეთ ხალხის თავხედობა და კადნიერება (მარცხნივ ტაშის ცემა). როდესაც ზამისლოვსკები, პურიშკევიჩები, მარკოვები და სხვა „შავბნელი კომპანია" (მარცხნივ სიცილი, მარჯვნივ—ხმაურობა)

ზამისლოვსკი (ადგილიდან) არ გაჰბედოთ მაგის თქმა! (თავმჯდომარე აჩერებს): ეგ შეურაცხყოფაა (მარჯვნივ ხმაურობა იზრდება, ზამისლოვსკის და პურიშკევიჩის ხმები ისმის).

თავმჯდომარე პურიშკევიჩსა და ზამისლოვსკის წესიერებას აგონებს.

ზამისლოვსკი: როგორ გაჰბედა მან „შავბნელი კამპანია"-ს წოდება.

თავმჯდომარე. გეგეჭკორს თავის სიტყვაში პარლამენტური წესი არ დაურღვევია.

გეგეჭკორი. სტუდენტთა საერთოდ მოძრაობას ეხება და ამბობს, რომ მან ნამდვილი პოლიტიკური ელფერი მიიღო. მთავრობის პროვოკაციას არ შეეძლო მისი წარმოშობა. კადეტებმა ჯერაც არ დაგვანახვეს, თუ ამ მოძრაობას როგორ უცქერიან, არც მემარცხენეთა საბუთებს მიემხრნენ, არც მემარჯვენეებისას. სოც.-დემოკრატიამ კარგად იცის, რომ რაც უნდა გაფართოვდეს სტუდენტთა მოძრაობა, იგი ახალ პოლიტიკურ ფორმებს ვერ გამოიწვევს, რადგანაც ამისათვის სხვა ფაქტორებია საჭირო—რევოლუციური პროლეტარიატი და გლეხობა. ყოველ შემთხვევაში სტუდენტთა მოძრაობამ თავისი საქმე გააკეთა... მან ნათლად ჰყო გაერთიანებულ მთავრობის ყოვლად გაკოტრება და მისი სულიერი უძლურება. სოციალ-დემოკრატია ყოველთვის სიმპათიებით მიეგებება სტუდენტთა მოძრაობას, როგორც საზოგადოებრივ განვითარების ერთ ფორმათაგანს. რუსეთის ხალხი ბოლოს და ბოლოს შესძლებს ამ რეაქციონურ ვაკხანალიას ბოლო მოუღოს. (ტაშის ცემა მარცხნივ).

მანისტრთა საბჭოში განათლების მინისტრია.

კაუფმანი. მეცნიერება მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში სწარმოებს. ეს სასწავლებლები ეროვნულ განძს წარმოადგენს, რასაც თვალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდეთ. თუ იქ შფოთი და რევოლუცია შეიჭრა, მოხერხებულად უნდა საქმის გამოსწორება: საწერ მაგიდის გადასაწმენდათ განა მეეზოვეს მიიწვევთ ხოლმე?! სტუდენტობის უმრავლესობა ხალისიანად მეცადინეობს. ვინც სტუდენტობას ახლო იცნობს, მისდამი გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობს. სტუდენტობა ყოველგვარ სახალხო უბედურებას მხურვალედა ჰგრძნობს. მამონტოვი—ეს ნამდვილი ტიპიური სტუდენტია, რომელსაც ხალხის მწუხარება საკუთარ ტანჯვად მიაჩნია. 1905 წ. ტერორისტული აქტები ახალგაზრდობის მგრძნობიარობით აიხსნება. მართალია, უნივერსიტეტში აკადემიური უწესობაა, მაგრამ ამისი მიზეზი 1884 წლის წესდებაა, რომელთაც პროფესორები უბრალო მასწავლებლად აქციეს და სტუდენტობის საქმეებში გარევა აუკრძალეს. საუნივერსიტეტო ავტონომია კარგია, მაგრამ ნაადრევი, მაგრამ სტუდენტთა გაფიცვებისა და ობსტრუქციის მიზეზი კი ავტონომიის გაუქმებაა. ორატორი სტუდენტობას მიჰმართავს: ეცადეთ თქვენის სამშობლოს მოსიყვარულე შვილნი იყვნეთ, სამშობლო ღირსეულად დააფასებს ამას და ბრწყინვალე მომავალს განგიმზადებთ (ძლიერი ტაშის ცემა).

ბოკდანოვი. ნაციონალისტების აზრით, მთავრობის მიერ მიღებული უკანასკნელი ზომები გონივრულია. მოსკოვის უნივერსიტეტს 38 პროფესორმა დაანება თავი, მაგრამ უმრავლესობა მათგანი პრივატ-დოცენტები არიან და მეცნიერებაც მათის წასვლით არას დაჰკარგავს...

იქ სადაც რუსეთის კეთილ-დღეობაა წამოყენებული მოსკოვის უნივერსიტეტის გაუქმების წინაშეც არ უნდა შევჩერდეთ...

შემდეგი სხდომა 25 თებერვალს მოხდება.

# სტუდენტების მოძრაობა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ეკატერინოსლავი. სამთო სასწავლებელში სწავლა დაიწყო. მე-2 და მე-3 კურსის მოსწავლენი თითქმის ყველანი მეცადინეობენ.

პეტერბურგი. უნივერსიტეტში მოსიარულე სტუდენტთა რიცხვი მცირეა. ნაშუადღევს 2 საათზე ქიმიური ობსტრუქცია მოახდინეს. არავინ დაუტუს ლებიათ. სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა ფაკულტეტებს, საჩქაროდ გადასწყვიტონ საკითხი, ჩაეთვალოთ სტუდენტებს გაზაფხულის სემესტრი თუ არა.

ხარკოვი. მედიკურ ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტებს გამოეცხადათ, რომ თუ ისინი მომავალ კვირიდან სწავლას არ განაახლებენ, დათხოვნილ იქნებიან უნივერსიტეტიდან.

ყაზანი. უნივერსიტეტში და საბეითლო ინსტიტუტში სწავლა სწარმოებს.

როგორც საბოლოოდ გამოირკვა, მოსკოვის უნივერსიტეტს სულ 108 პროფესორი დაჰკლებია. ფიზიკო-მათემატიკურის ფაკულტეტზე სამსახურისთვის თავი 48 კაცს, ამათგან 11 პროფესორია, 28 პრივატ-დოცენტი, 5 ლაბორანტი, 9 კაცს კი ლაბორანტი. თანამდებობაც ეპარა და პრივატ-დოცენტებადაც ითვლებოდნენ. წინად ამ ფაკულტეტზე 25 პროფ. ყოფილა და 69 პრივატ-დოცენტი, მაშასადამე, პროცენტებათ რომ ვიანგარიშით, პროფესორთაგან 44 პროცენტს დაუნებია სამსახურისთვის, პრივ.-დოცენტთაგან—45 პროცენტსა, იურიდიულ ფაკულტეტზე ითვლებოდა 14 პროფესორი და 38 პრივატ-დოცენტი. სამსახურს თავი დაანება 21 კაცმა, პროფესორთაგან 5 კაცმა (36 პროც.), პრივატ-დოცენტთაგან 16 (42 პროც.) ისტორიკო-ფილოლოგიურს ფაკულტეტზე ითვლებოდა 20 პროფესორი და 39 პრივატ-დოცენტი. სამსახურს თავი დაანება 11 კაცმა: 2 პროფესორია (10 პროც.) და 9 პრივატ-დოცენტი (23 პროც.) საექიმო ფაკულტეტზე ითვლებოდა 32 პროფესორი და 124 პრივატ-დოცენტი. სამსახურს თავი დაანება 27 კაცმა, ამათგან პროფესორი შვიდია (22 პროც.), პრივატ დოცენტი თვრამეტი (15 პროც.)

სულ, როგორც ზევითაც ვსთქვით, მოსკოვის უნივერსიტეტისთვის თა...

# სახელმწიფო გლეხების მიწათ-მფლობელობა საქართველოში

(ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით)

2

„სახალხო გაზეთის" ფურცლებზე ჩვენ უკვე შევეხეთ აღმოსავლეთ საქართველოს—ტფილისის გუბერნიის—სახელმწიფო გლეხთა საწარმოვო მიწის რაოდენობას, აქ დავინახვთ, თუ როგორი მიწის სივიწროვეა გამეფებული, რის გამოც თანამედროვე სოციალური და ეკონომიური კრიზისია გამეფებული.

ამ ჟამად ჩვენი ყურადღება დასავლეთ საქართველოზე—ქუთაისის გუბერნიაზე — უნდა მივაქციოთ, აღვნუსხოთ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების მიწად-მფლობელობის რაოდენობა.

სახელმწიფო გლეხობა დასავლეთ საქართველოში ტფილისის გუბერნიასთან შედარებით მცირერიცხოვანია. სახელმწიფო გლეხებით დასახლებულ სოფლების რაოდენობაც აგრეთვე ნაკლებია. ასეთი სოფლები დასავლეთ საქართველოში სულ 499 ია. (ტფილისის გუბერნიაში კი 941). სახელმწიფო გლეხებით დასახლებულია ქუთაისის მაზრაში —146 სოფელი, რაიც შეადგენს მთელს 29,25%, შემდეგ მოსდევს შორაპნის მაზრა—125 სოფელი, ანუ 25,05%, რაჭისა—75 (15,08%), —ოზურგეთისა 59 (11,82%), სენაკისა—50 (10,02%), ლეჩხუმისა —29 (5,81%) და ზუგდიდისა—15 (3,00%).

1884—85 წ.წ. გამოკვლევით, სახელმწიფო გლეხთა რაოდენობა უდრიდა 138,398 სულს ორივე სქესისა (ტფილისის გუბერნიაში კი —309,086) ანუ 20,927 კომლს (კომლზე მოდის ორ. სქ.—6,6 სული). გლეხთა რაოდენობით პირველი ალაგი ქუთაისის მაზრას უჭირავს, სადაც მთელ მცხოვრებთა 37,99% სახელმწიფო გლეხებია, შემდეგ შორაპნის მაზრა—24,28%, რაჭისა — 12,55%, ოზურგეთის— 10,75% და უკანასკნელი ალაგი უკავია სენაკის—9,64%, ზუგდიდის 3,19% და ლეჩხუმის—1,9%.

სახელმწიფო გლეხთა საკუთრებასა და სარგებლობაში ირიცხებოდა სულ 63,787,77 დესეტინა, ასე რომ თვითეულ კომლზე მოდიოდა 3,04 დესეტინა, სულზე ორივე სქესისა უწევდა რაღაც 0,46 დეს., მაგრამ, ამ ცნობაში ის მიწებიც შედის, რომელსაც ხაზინა და კერძო პირები ედავებიან, ასეთი მიწა-ადგილის რაოდენობა მთელ მიწის 23,87% შეადგენდა, ანუ მთელ 15,216,2 დესეტინას.

სამწუხაროდ, ხელთ არ მაქვს და რამდენადაც გავცნობივარ საამისო ლიტერატურას, არც კი არსებობს ისეთი შრომა, რომელსაც სრულიად დაუკლებლივ გამოეკვლიოს სახელმწიფო გლეხების მიწათ-მფლობელობის მდგომარეობა დასავლეთსაქართველოში. კონკრეტული მასალები კვლავ „Матеріалы" ან „Сводъ матеріаловъ"-ებიდან და ან მის კომპილიაცია—თუ შეიძლება აგრე გამოვთქვათ—„სტატისტიკურ ცნობათა კრებული"-დან ამოვიღოთ, რომელნიც სასნოვსკისზე უფრო დაწვრილებით გვიხსნის, გლეხების მიწათ-მფლობელობის სურათს.

სახაზინო მიწების ნადელები, ერთი-მეორეზე, კომლზე 4,23 დესეტინა მოდის, აქედან სახნავ-სათესურწყავ მიწის ზომა 2,27 დესეტინას უდრის, საცა სულზე 0,34 დეს. უწევს. საეზოვე მიწის რაოდენობა საერთოდ 0,27 დეს. უდრის. სულზე—0,04 დეს. სულ სხვა სურათი გვეშლება, როდესაც უფრო კონკრეტულად ვიხილავთ ნადელების რაოდენობას. მაგალითად, ერთი-მეორეზე ლაპარაკს რომ მოვშორდეთ და თუნდ კონკრეტიული ბაასი მაზრებზე ვიქონიოთ, დავინახავთ, რომ სახაზინო გლეხების ნადელის რაოდენობა უდრიდა:

| | | კომლზე | სულზე |
|---|---|---|---|
| | | დეს. სახნ.-სათ. მიწა: | |
| ოზურგეთის | მაზრაში: | 1,90 | 0,28 |
| ზუგდიდის | „ | 3,13 | 0,58 |
| სენაკის | „ | 2,13 | 0,36 |
| ლეჩხუმის | „ | 2,05 | 0,26 |
| რაჭის | „ | 1,52 | 0,19 |
| შორაპნის | „ | 1,64 | 0,23 |
| ქუთაისის | „ | 2,84 | 0,46 |

მაგრამ, კიდევ უფრო საინტერესო სურათი გადაგვეშლება თვალწინ, რომ წარმოვიდგინოთ მთელ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების მიწათმფლობელობა სხვა და სხვა კატეგორიებათ დანაწილებული. ჩვენ მთელ სოფლებს დავყოფთ სამ ჯგუფად, პირველ ჯგუფში მოვაქცევთ სოფლებს, რომელთაც სახაზინო ნადელები 0-დან 1,5 დესიატინამდე აღწევს, მეორეში—1,5 დეს.-ვიდრე სამ დეს.-მდე და მესამეში+3 დეს.

აქედან შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

| მაზრები: | 1. ჯგუფი: 0—1,5 დეს. | 2. ჯგუფი: 1,5—3,5 დეს. | 3. ჯგუფი: 3,5 დეს. |
|---|---|---|---|
| | სოფლების რიცხვი | | |
| ქუთაისის | 39 | 63 | 42 |
| შორაპნის | 55 | 46 | 16 |
| რაჭის | 42 | 29 | 3 |
| სენაკის | 23 | 24 | 4 |
| ზუგდიდის | 6 | 6 | 3 |
| ოზურგეთის | 32 | 19 | 7 |
| ლეჩხუმის | 8 | 18 | 9 |
| მთელს გუბ. | 205 | 205 | 85 |

ეს ცხრილი დაახლოვებით მაინც წარმოგვიდგენს სახელმწიფო გლეხთა ნადელების დანაწილებას და რაოდენობას ქუთაისის გუბერნიის შვიდ მაზრაში. როგორც ჰხედავთ, ნადელების სიმცირის მხრივ და ნადელების ერთგვარ უსწორ-მასწორო დანაწილებაში — ცხრილის თანახმად — პირველობის ალაგი ოზურგეთის მაზრას (გურიას) უჭირავს, მეორე—შორაპნის (იმერეთი) და მესამე—რაჭის მაზრას.—მეორე ჯგუფს ეკუთვნის ლეჩხუმის მაზრა (სვანეთი), შემდეგ — ქუთაისისას (იმერეთი), ხოლო მესამეს—სენაკისას (სამეგრელო), ზუგდიდის მაზრაში (სამეგრელო) კი ძალთა განწყობილება ჰარმონიულია.

საერთოდ, ქუთაისის გუბერნიაში ნადელების დანაწილებაში ისეთ უსწორ-მასწორობას არ აქვს ალაგი, როგორც თფილისის გუბერნიაში. მართალია, დასავლეთ საქართველოში ნადელების სხვა და სხვაობას თვით გლეხებ შორის აქვს ალაგი, მაგრამ ყველა ეს უსწორ-მასწორობა წვრილ საკუთრების ნიადაგზეა აღმოცენებული, ისეთ შეძლებული სახაზინო გლეხ-კაცს, როგორსაც ტფილისის გუბერნიაში შეჰხვდებით, სრულებით ვერა ჰნახავთ დასავლეთში.

კომლზე რომ ორთაშუა ვიარაუდოთ სახელმ. გლეხთა ნადელების სხვა და სხვაობის სურათი მივიღებთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში კომლზე მოდიოდა საშუალოდ სოფლებში:

| ჯგუფისა | | სოფელში | დესიატინა. |
|---|---|---|---|
| 1 | = | 205 | 0,75 |
| 2 | = | 205 | 2,50 |
| 3 | = | 85 | +3,50 |

თუ იმის გაგებას მოვიწადინებთ თუ რამდენი მოდის თვითეულ სულზე ნადელები ზემოდ დასახელებულ სოფლებში, დავინახავთ, რომ ნადელები სულზე მოდის:

| ჯგუფის. | | სოფელში. | დესიატინა. |
|---|---|---|---|
| 1. | = | 205 | 0,11 |
| 2. | = | 205 | 0,37 |
| 3. | = | 85 | +0,53 |

| ყველა ჯგუფები | ყველა სოფლები | საშუალოდ გუბერნ. |
|---|---|---|
| 3 | 495 | +0,33 |

ამ რიგად, საერთო სურათი ქუთაისის გუბერნიისა, აშკარად გვიჩვენებს, რომ ყველა სამ ჯგუფის გლეხთა მიწათ-მფლობელობის დამახასიათებელ კოეფიციენტად ნოლი უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს საერთო სურათია. ფრიად საინტერესო კი იქნებოდა მდგომარეობის სირთულე კიდევ უფრო კონკრეტიულად წარმოგვედგინა, მკითხველთან ერთად დაგვენახა თუ სად, რომელ კუთხეში, რომელ მაზრის სოფელში, თუ საზოგადოებაში, რანაირ მიწათ-მფლობელობას აქვს ალაგი.

ვე დაუნებებია 108 პროფესორსა და პრივატ-დოცენტს. გაზეთის სიტყვით, ამ მასიურმა გასვლამ ისეთი პირობები შექმნა, რომ ბევრ საგნებიდან მეცადინეობა შეუძლებელი გახდა, რადგანაც პროფესორები აღარ არიან. გაზეთი ამასთანავე დასძენს, რომ ეს სრული სია არ არის იმ პირთა, რომლებმაც სამსახურს თავი დაანებეს.

კვლავ ვაცხადებთ თანამშრომელთა საყურადღებოდ,

რომ **დაუბეჭდავი** პატარა ხელთ-ნაწერები (ლექსები, პატარა მოთხრობები, კორესპონდენციები, რეცენზიები და სხვ.) **არ ინახება**. ამიტომ ვთხოვთ ყველას ამ დაუბეჭდავ მასალას ნურარც მოიკითხავენ რედაქციაში. ამასთანავე რედაქცია აცხადებს, რომ დაუბეჭდავ მასალის შესახებ არავითარ **მიწერ-მოწერას არა ჰმართავს** ავტორებთან.

# ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:

## მიღებულ წესისამებრ ყოველ თვის დამდეგს, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა შსწყდება.

## მხოლოდ 1 მარტამდე მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:

# „ეროვნულ პრობლემის გარშემო".

(პუბლიცისტური ეტიუდები; ნაწილი პირველი)

ამ წიგნში შევა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.

ხელის-მოწერა მიიღება **ტფილისში:** „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. **თელავში:** ვანო პაატაშვილთან.

დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (9—6)

# შავი ჭირი

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

**ხარბინი.** 22 თებერვალს ობსერვაციაში იყო 206 ჩინელი, 8 ევროპიელი. განცალკევებული 5, საავადმყოფოში 3 გარდაიცვ. დღე-ღამეში გარდაიც 6. დარჩა ობსერვაციაში: 235 ჩინელი და 14 ევროპიელი. სასანიტარო რაზმი სად. მადანცეიანიდან იტყობინება, რომ 15 ვერსის მანძილზედ შავი ჭირით ავადმყოფები არ აღმოუჩენიათ.

**პეკინი.** ტიან-ძინში შავი ჭირით დღეში 1—2 კაცი კვდება. რკინის გზის მიმოსვლა ჩრდილოეთისკენ აღადგინეს. მატარებელს თან სანიტართა რაზმები მისდევს.

„უტრო როსსიი"-ის შანხაიელი კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს, თუ რა საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან შავი ჭირის მხრივ ჩინეთში მცხოვრები ევროპიელები და აღნიშნავს იმ აუცილებელ ზომებს, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა იქმნას მიღებული ევროპის ყველა სახელმწიფოთა მიერ, რომ ეს საფრთხე თავიდან აიცილოს.

„ევროპიელთა სრული იზოლიაცია ჩინეთის ქალაქებში ყოვლად მოუხერხებელია, ამბობს კორესპონდენტი, მთავრობა იძულებულია ყველა სანიტარული ზომების აღსასრულებლად ძალა იხმაროს. უწინ შავი ჭირი უფრო ხშირად სამხრეთ-ჩინეთში იკიდებდა ხოლმე ფეხს; ეხლა კი იგი მხოლოდ ჩრდილოეთ-ჩინეთს მოედო. ჩინეთის მთავრობა შავ ჭირთან ბრძოლაში არც ენერგიას და არც ფულს არ ზოგავს. სწორედ ამიტომ არის, რომ სამხრეთ-ჩინეთში სენმა ფეხი ვერ მოიკიდა."

დასასრულ კორესპონდენტი იმედოვნებს, რომ თუ ჩინეთის მთავრობა უფრო მეტს ენერგიას გამოიჩენს შავ ჭირთან ბრძოლაში, და ევროპიელებიც ხელს შეუწყობენ მას უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საზარელი სენი არამც თუ ევროპას არ ეწვევა, პირიქით შესაძლებელია ზაფხულისთვის ჩინეთშიაც მოისპოს.

„უტრო როსსიი"-ის საკუთარი კორესპონდენტი ვენიდან იტყობინება:

ოდესსაში შავი ჭირით ავადმყოფობის აღმოჩენის გამო, გალიციის სანამესტნიკოში ბრძანება გამოსცეს მიღებულ იქმნას ყოველ-გვარი ზომები, რომ ეს სენი გალიციაში არ იქმნას შემოტანილი.

იმავ გაზეთს ოდესსიდან ატყობინებენ: პირესიპის მიდამოებში დაიჭირეს შავი ჭირით მოწამლული ვირ-თაგვა.

ოფიციალურ ცნობებით ოდესაში დაუჭერიათ დღევანდლამდის სულ 48,600 ვირთაგვა, რომელიც ქალაქს 51,000 მან. დასჯდომია. ე. ი. თითო თაგვი 1 მანეთზედ მეტი.

„რუსსკოე სლოვო"-ს ბლაგოვეშჩენსკიდან დეპეშით ატყობინებენ:

რადგან ქ. ბლაგოვეშჩენსკში აღმოაჩინეს შავიჭირით ავადმყოფი, ადმინისტრაციამ ქალაქში მცხოვრები ჩინელი მუშები ქალაქიდან გააძევა. გარაზებული ჩინელები დაეცნენ ქალაქის იმ ნაწილს, სადაც ევროპიელი კონტრაბანდისტები სცხოვრობენ, სახელდობრ: კაკასიელები, რუსები, ბერძნები და სხვ. შეშინებულმა ევროპიელებმა ძლივ-ძლივობით მოიგერიეს გამხეცებული ჩინელები. სხვა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი დეპეშით სთხოვენ თავის ელჩებს შველას.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

## საზღვარ-გარედ.

23 თებერვალი

**ფესი.** ფესსა და რაბატომის შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. მეამბოხენი იმუქრებიან. ბეინგასენები და შერარდები ჯარებს გზას უღობავენ.

**ვაშინგტონი.** სამხედრო დეპარტამენტმა ბრძანება გასცა 6000 კაცის მობილიზაცია მოხდეს და მექსიკის საზღვრებზედ გაიგზავნოს.

**ტოკიო.** ორივე პალატამ მიიღო 1911 წლის ბიუჯეტი. გზათა მინისტრს აზრადა აქვს დრეზდენის გამოფენაზედ წასვლა სამ გზად გაიაროს მოსკოვი და პეტერბურგი.

**პარიზი.** გაიფიცნენ სარძევე დუქნების ნოქრები. ვაჭრობა შეჩერებულია. დუქნებს პოლიცია იცავს.

**მექსიკა.** გაფიცვა ძლიერდება. სამხრეთ შტატებში მღელვარება დაიწყო. მთავრობა ვერაფერს გახდა. უცხოელების მდგომარეობა საშიშია.

**ვენა.** პალატის სხდომები განახლდა. მთავრობას შეაქვს შეკითხვა დროებით ბიუჯეტის და 76 მილიონ კრონის კანონ-პროექტის შესახებ.

**ბუდაპეშტი.** პალატამ მიიღო კანონ-პროექტი ბანკების შესახებ.

**პარიზი.** პოლიციამ დაატუსაღა 9 კაცი, ტომით რუსი, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბ საფოსტო მარკების გასაღება.

ჰიგიენის მუდმივმა საერთა-შორისო კომიტეტმა გადასწყვიტა მოიწვიოს მაისში საერთა-შორისო სანიტარული კონფერენცია, რომელმაც შავი ჭირის, ხოლერის და ყვითელ ციების წინააღმდეგ ზომები უნდა შეიმუშაოს.

**ათინა.** მიწის ძვრამ დიდი ზარალი მოუტანა მცხოვრებთ. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა და თოვლი განუწყვეტლივ მოდის, მცხოვრებნი ღამეს ცას ქვეშ ათენებენ.

**ლისაბონი.** მოვიდა ოპორტის ეპისკოპოსი, რომელიც იუსტიციის მინისტრმა გამოიწვია. ეპისკოპოსის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გამართეს.

**ჰელსინგფორსი.** წუხელ ტორმაოზში გამოურკვეველ მიზეზების გამო დაიწვა მართ-მადიდებელთა ეკლესია. ზარალი 80,000 მარკაა.

## რ უ ს ე თ ი

**მოსკოვი** „რუსკ. ვედ."-ი დააჯარიმეს 500 მან. 22 თებერვლის მოწინავე წერილის გამო.

**ნოვოჩერკასკი.** გარდაიცვალა ყაზახთა ჯარის ატამანი ბარონი ტაუბე.

**პოლტავა.** გრიგორევკაში დაიწვა წისქვილი. ზარალი 200,000 მან.

**ვლადივოსტოკი.** მატარებლის მიმოსვლა ნიკოლსკისა და პოგრანიჩნის შუა თოვლის ზვავების გამო შეწყვეტილია.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება, რომელმაც ხოლერის საწინააღმდეგო ზომები უნდა შეიმუშაოს. თავმჯდომარემ განმარტა კრების პროგრამმა და სხვათა შორის აღნიშნა, რომ ეს არის პირველი კრება, სადაც მონაწილეობას იღებენ როგორც მთავრობის ისე საზოგადო და კერძო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და რომელსაც ხოლერის წინააღმდეგ ზომების შემუშავება აქვს დასახული. წაკითხულ იქმნა მოხსენება ექიმ შმიდტისა და ჩიტკანსკისა.

**პეტერბურგი.** 21 თებერვალს ავად გახდა გარეშე საქმეთა მინისტრი. ექიმის სიტყვით მინისტრს ყანყრატის ანთება აქვს. მდგომარეობა სერიოზულია. 23 თებერვალს სიცხე 39,3 ავიდა.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ამას წინად **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად არჩეული გ. დ. შურული** გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ისენბულ თანამდებობაზე.

◆ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ-ს მთავარმა გამგეობამ სიღნაღიდან ექიმ ლევან დიმიტრის ძის ჯავაფავლენიშვილისგან მიიღო იქ გამართულ სალამოს წმინდა შემოსავალი 192 მან. 68 კაპ., რომელიც უნდა მიემატოს **ილიას სახელობის ფონდს.**

◆ წარსულ წლის 11 დეკემბრიდან დღემდე ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ **ტფ. ტრამვაის დირექცია 50,100 მანეთით დააჯარიმა** იმის გულისთვის, რომ დირექცია ტფილისში ამ ხნის განმავლობაში ვაგონთა საკმარის რიცხვს არ ამუშავებდა.

◆ ქუთაისის გაზეთში გუბერნატორი სლავოჩინსკი აღწერს იმ **უბედურებას** რომელიც რიონის ადიდებამ თავს დაატეხა ჭალადიდის საზოგადოების გლეხთ—150 კომლს და მოუწოდებს გულშემატკივრათ, რითაც შეუძლიანთ შემწეობა აღმოუჩინონ უმწეოდ დარჩენილთ. შეწირულებანი მიიღება ქუთაის გუბერნატორის სახლში და გუბერნიის ყველა სამაზრო სამმართველოებში.

◆ დღეს კავკასიის **იურიდიულ საზოგადოების** წევრთა კრება მოხდება.

◆ როგორც გვწერენ, **ბათომში თბილი ამინდი** დამდგარა. თოვლი ნელ-ნელა დნება და ის შიში, რომელსაც მცხოვრებნი განიცდიდნენ წყალდიდობის მოლოდინში, არ გამართლდა.

◆ 1910 წლის შემოდგომაზე ტფილისის მაზრაში მრავლად გაჩნდა **მინდვრის თაგვი.** როგორც ახლა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ცნობა მიიღო, დიდის ყინვისაგან თითქმის სულ გაწყვეტილა თაგვი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოხუმის ქალაქის თვითმმართველობას, ქალაქის **სათადარიგო თანხიდან 2,400 მანეთი ისესხოს** სოხუმის ღარიბ მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად: შეშით და გზების გასაკეთებლად.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** თელავს გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად.

◆ ინჟინერმა აბელოვმა უკვე ცნობაში მოიყვანა ის მასალები, რომელიც ტფილისში განზრახულ **ბალნეოლოგიურ სადგურის მოწყობას** შეეხება. სადგურს უნდა დაეთმოს რამდენიმე კერძო პირის მამული, რომლის გამოსასყიდადაც საჭიროა 4 მილიონი მანეთი. სადგურის მოწყობაზე კი 3 მილიონი დაიხარჯება.

◆ როგორც ტფილისში ცნობა მოვიდა, უკვე შეუტანიათ სომხის ცნობილ მწერლის აგარონიანის მაგიერ 20,000 მან. სათავდებო ფული. აგარონიანი ნოვოროსიისკიდან ტფილისში უკვე გამომგზავრებულა.

◆ გუშინ ამიერ კავკასიის წვრილ კრედიტის მოღვაწეთა კრებამ **მისალოცი დეპეშა** მიიღო კარაკლისის წვრილ კრედიტის ამხანაგობისგან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველოს განკარგულებით დიდი-ხანია რაც შეუდგნენ **ბაქოსა და ტფილის შუა ტელეფონის გაყვანას.** ამ ჟამად მუშაობა თითქმის დამთავრებულია და ერთი თვის შემდეგ შეგვეძლება ბაქოს ტელეფონით ვესაუბროთ. ფასი ტელეფონით სარგებლობისა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ სახელმწიფო საბჭომ უცვლელად დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროს მიერ შემუშავებული კავკასიის კანონ-პროექტები: 1) გაღებულ იქმნას კრედიტი კავკასიაში გადმოსახლებულთა ადგილების მოსაწყობად და 2) გაძლიერებულ იქმნას ყუბანის ოლქის პოლიცია. ტფ. ქალაქის პოლიციის შტატი კი ჯერ-ჯერობით ისევ ისე დარჩეს.

◆ გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე **„ნოვაია რეჩ"-ის რედაქტორის** რ. დ. ბებიაშვილისა. სამართალში მიცემული იყო ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ"-იდან ალომალოვის მოკვლის შესახებ ცნობების გადმობეჭდვისთვის. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ იცნო და სასჯელთა დებულების 1 ნაწილის 1038 მუხლის ძალით ერთის კვირით დაპატიმრება და ერთი თუმანი ჯარიმა გადაუწყვიტა. ბ-ნს ბებიაშვილს საქმე პალატაში გადააქვს.

◆ 1 მარტიდან ბოტანიკურ ბაღში დაარსებულ საპალოსნო სასწავლებელში დაიწყება მოწაფეთა მიღება.

◆ ბოტანიკურ ბაღის გამგეობამ გადასწყვიტა **სახალხო სკოლებს და გლეხებს უფასოდ დაურიგოს სანერგე მასალა და ბოსტნეულობის თესლი.**

◆ **ქ. მესხის საიუბილეო დასმა** უკვე ამოირჩია პიესა. დასში ჯერ-ჯერობით მიწვეულნი არიან ახალგაზრდებიდგან: ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ი. ქავიძე; ქ-ნნი: შოთაძე და ნ. რიონელი. დიდმარხვის მეხუთე კვირაში დასი გაემგზავრება ბაქოსა და ერევნისაკენ, აღდგომის მესამე დღიდგან კი დასავლეთ საქართველოსკენ.

უშირესად საერთო წარმოდგენა გვაქვს სახ. გლეხების მიწათ მფლობელობაზე, მაგრამ ეს—ვიმეორებ საერთო სურათია და პირდაპირ მთელ პროვინციის გულ-ღვიძლში ჩაჭრა სხვა სურათს გვიშლის, სურათს უფრო უარესად დამაღონებელს. საბედნიეროდ, მე 80—90 წ. წ. ოფიციალური სტატისტიკა საამისოდ სრულიად დაუმუშავებელ მასალას იძლევა და ჩვენც მოკლედ გავაცნობთ მკითხველებს ამ მასალის ცნობებს.

გუბერნიის ზოგიერთ კუთხეში, მაზრაში, თვითეულ სოფლის მიწათ-მფლობელობის სურათს რომ გადაავლოთ თვალი დაინახავთ კიდევ უფრო სხვა და სხვა ზომებით დანაწილებულ მიწა-ადგილებს, რომელშიაც—ეგრედ წოდებულ სოციალურ დიფერენციაციის სურათი ცხადად გამოსჭვივის. მაგალითად, ოზურგეთის მაზრის გურიანთის საბოქაულოს ნაწილში, შემოქმედის საზოგადოებაში სახელმწ. გლეხთა ნადელი თვითეულ კომლზე ერთი დესეტინაც არ მოდის; წითელ მთაში მაგ. ნადელის რაოდენობა კომლზე 0,77 დეს. უდრის, კვირიკეს—0,82 დეს. მაკვანეთის—0,85 დეს. სულზე ხომ კიდევ ნაკლები. ჯუმათის საზოგადოებაში (ლანჩხუთის საბოქაულო) ნადელი უდრის კომლზე 0,11 დეს., ლესაში—0,82 დეს., ჩოჩხათში—0,97 დეს. ხოლო ჩიბათიასში—0,82 დეს. მეტის მეტი მიწის სივიწროვეა აგრეთვე ფარცხმის საზოგადოებაში, სადაც გოგოლეის უბანში ნადელი უდრის 0,25 დეს., თვით ფარცხმაში—0,51 დეს. მთელ გურიაში, ნადელების სიდიდით დაკვეხნა შეუძლია გურიანთის უბნის მიქელ-გაბრიელის საზ., სადაც ნადელი კომლზე საშუალოდ 3,98 დეს. მოდის, ხოლო იმავ საზოგადოების ვაკეს კუთხეში—0,66 დეს. შემდეგ ლიხაურის საზ. (ნადელი საშუალ.—2,60 დეს.), ლანჩხუთის (2,43 დეს.) და აცანის—მიქელ-გაბრიელის შემდეგ (3,12 დეს.) ხემოხეთის საზოგ.—3,83 დეს., სურებში—6,39 დეს. და ნანეიშვილისეულში—2,47 დეს.

ზუგდიდის მაზრაში (სამეგრელო)—როგორც ზემოდ მოყვანილი ცხრილიც გვიჩვენებს,—წინააღმდეგობანი ისე გამწვავებული არაა, როგორც გურიაში; აქ კომლზე ნოლებიანი ნადელებიც თითქმის არც კია, თუ წელენჯიხის საპოლიციო უბნის ჩხოროწყუს საზოგადოების ნაკიკიანოს სოფელს გამოვაკლებთ, სადაც სახელმწ. გლ. ნადელი უდრის 0,96 დეს.. ნადელის სიდიდეში, პირველი ალაგი უჭირავს რედუტკალეს საბოქაულოს ხორგის საზოგადოებას, სადაც ნადელები კომლზე 5,22 დეს. მოდის, შემდეგ ხეთის საზოგადოება—5,02 დეს. და ნაჯახევის საზ.

სენაკის მაზრაც (სამეგრელო) არ არის გურიასავით ჭრელი ნადელებით. სიმცირეში პირველი ალაგი ს ლეხინოს საზოგადოებას უჭირავს, სადაც კომლზე საშუალოდ 0,32 დეს. მოდის, ხოლო ლეწეს სოფელში—0,07 დესეტინაც! შემდეგ მოსდევს ნაგვაზავას საზ.—1,27 დეს. კომლზე, ხოლო ნაჯიხევის სოფელში—0,52 დეს. შემდეგ მარტვილისა—1,54 დეს. და აბაშის საზ.—1,69 დეს. პირველი ალაგი ნადელების სიდიდეში ნოსირის საზოგადოებას უჭირავს—10,44 დეს. შემდეგი კი სუჯუნას—3,02 დეს.

ცხრილმაც გვიჩვენა და სოფლებთა აღნუსხვაც გვიჩვენებს, თუ რა რიგად დანაწილებულია ნადელები ლეჩხუმის მაზრაში. განსაკუთრებით, ნადელების სიმცირე ცაგერის საბოქაულოს ლენტეხის საზოგადოებაშია, სადაც კომლზე 0,44 დეს. მოდის, შემდეგ ჩოლოურის—0,56 დეს. დანარჩენ სოფლებში ნადელები 1 დესეტინიდან 3,44 დესეტინამდე აღწევს.

გურიის შემდეგ, მხოლოდ რაჭის მაზრა იძლევა საშინელ მიწის სივიწროვის სურათს. რაჭაში მრავალი სოფლებია სადაც ნადელები მეტად მცირეა. ონის საბოქაულოში, მაგ. ცხომში სახელმწ. გლ. ნადელი კომლზე 0,48 დეს. უდრის, ძეგლევის საზოგადოებაში საშუალოდ ნადელი კომლზე 0,33 დეს. უდრის. თვით ონის სოფლებშიაც ნადელები სიმცირე საგრძნობელია—0,18 დეს. უდრის. შკმერის, ჩიორის და უწერას საზოგადოებანი ერთიანად ნოლებიანია—0,71 დესეტინიდან დაწყებული უწერაში—0,99 დესეტინამდე ჩიორისაში. ამბროლაურის საბოქაულო ამ მხრივ რამდენადმე ბედნიერია. ხვანჩკარის საზოგადოებას თუ გამოვტოვებთ, სადაც ძლიერ გაძლიერებულია ნადელების სიმცირე—ორთაშუა მთელ საზოგადოებაში 0,89 დეს. (უკანასკნელი ალაგი თვით სოფელ ხვანჩკარს უჭირავს—0,6 დეს.) მაშინ ამბროლაურის საბოქაულო რამდენადმე ერთფეროვან სურათს გადაგვიშლის.

იმერეთში, მდგომარეობათა კონტრასტი უფრო აშკარაა ქუთაისის მაზრაში. აქ ნადელების სიმცირე და სიდიდე უფრო მწვავეა, ვიდრე ჭუთაიში. ნადელების სიმცირეში პირველი ალაგი უჭირავს ბაღდადის საბოქაულოს, დიმის საზოგადოებაში მაგ. საერთოდ კომლზე 1,25 დეს. მოდის, ხოლო თვით დიმში—0,77 დეს., სვიატ-მაღალში—0,6 დეს. სვირშიც ძლიერ სივიწროვეა ნადელებისა — სადაც საერთოდ კომლზე 1,45 დეს. მოდის, ხოლო თვით სვირში—როგორც პირველში ისე მეორეში—0,45 დეს. მცირეა აგრეთვე ხონის საზოგადოებაში, თვით ხონში ნადელი უდრის—1,63 დეს., მაგრამ სოფელ კორჩხაბში—0,9 დეს. ნადელის სიდიდეში პირველი ალაგი ტყიბულის საბოქაულოს უჭირავს, სადაც, საცირეს საზოგადოებაში საშუალოდ ნადელი 6,99 დეს. უდრის; ამ საზოგადოების სოფ. ტყიბულში კი მთელი 15,23 დეს., ძიროვანში—9,46 დეს. მეორე ალაგიც ტყიბულის საბოქაულოს უჭირავს, სადაც გურნის საზ. საშუალოდ 5,56 დეს. მოდის კომლზე. ამ საზოგადოებაში ნადელების დიდი უსწორ-მასწორობაა, მაგ. სოფ. კისორეთში ნადელი უდრის 14,04 დეს., ხოლო ამავ საზოგადოების სოფ. ანტორიაში 1,41 დეს.!

შორაპნის მაზრაში ნოლებიანი ნადელების თითქმის ყველა საპოლიციო ჰნახავს. ყვირილის საბოქაულოში მაგ. ბოსლევის საზოგ. ნოლიანი სოფელი რქვიაა—0,93 დეს., კლდეეთის საზოგადოების ზლოუურის სოფელში—0,24 დეს., კვალითში—0,62 დეს., ცხრა წყაროში—0,84 დეს. აგრეთვე ჭრელია შორაპნის საზოგადოება. სოფლები: ფუთი, შორაპანი, ცევა—ერთიანად ნოლებიანია. მეტის-მეტად ჭრელია ნადელები საჩხერეს საბოქაულოში. არგვეთის საზოგადოებიდან რომ გამოვტოვოთ სოფლები: ჭალოვანი და გოდორი, ნადაბურში 0,76 დეს. ვნახავთ, ხოლო ციცქიურში 0,12 დეს.. პირველი ალაგი მიწის სივიწროვეში წიფის საბოქაულოს უჭირავს. ხორაგაულის საზ. მაგ. ერთიანად ნოლებიანია, ამ საზოგადოებაში ნადელი 0,74 დეს. უდრის. არის ისეთიც, მაგ. ხორითის სოფელი, სადაც ნადელი 0,25 უდრის. კიდევ უარესია ხუნევის საზოგადოების სოფელ წაქვაში, მაგ. ნადელი რაოდაც 0,16 დეს. წარმოადგენს, საშუალოდ მთელ საზოგადოებაში—0,61 დეს. პირველი ალაგი ნადელის სიდიდეში ჩხარის საბოქაულოს უჭირავს,—ხრეითის საზოგადოებას სადაც ნადელი საშუალოდ კომლზე 4,39 დეს. მოდის. მეორე ალაგი ჩხირაულის საზოგადოებას უჭირავს ჭიათურის საბოქაულოში — საშუალოდ 4,31 დეს. კომლზე, მესამე—მერევის საზოგადოებას—3,02 დეს.

ასეთია დასავლეთ საქართველოს სოფლებში სახელმწიფო გლეხთა ნადელების რაოდენობა.

თევდ. ღლონტი.

✦ შაბათს, 5 მარტს, ტფილისის დასი ვ. გუნიას მონაწილეობით გორში გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ძალა ღმართსა ხნავს“, სხვათა შორის მონაწილეობენ ქ-ნნი: ელ. ჩერქეზიშვილი, ა. კარგარეთელი და ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.

✦ 23 თებერვალს ტფილისში 46 ყმაწვილი შეიპყრეს.

✦ 22 თებერვალს ტფ. მაძებარმა პოლიციამ შეიპყრო პ. აკოფოვი, რომელიც სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

**ქუთაისი**

✦ 19 თებერვალს, დილის 11 საათზე, აკოფოვის შესახვევში ცეცხლი გაუჩნდა იაკობაშვილის მაღაზიას. ცეცხლი გადავიდა მეზობელ შენობებზე და გასტანა საღამოს 7 საათამდე. იაკობაშვილის, რიჟინაშვილის, ხაზარაძის, იას. ბურჯანაძის, რუხაძის და სხვ. მაღაზიები სულ ერთიანად გადაიწვა. ზარალი 400,000 მანეთს უდრის. ცეცხლის მქრობელი რაზი, რომელიც ფაქტიურად არც კი არსებობს ქუთაისში, გვიან მოეშველა მაღაზიების მეპატრონეებს, მაგრამ იმდენი შემწეობა არ აღმოუჩენია, რამდენიც თვით შეკრებილმა ხალხმა. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ მოგაწვდით.

✦ ზოგიერთი ჭორიკანა პირები ავრცელებენ ხმებს, ვითომც ახლად არჩეულ ქალაქის თავს და მის მოადგილეს საფრთხე მოელოდეს დამტკიცების მხრივ მთავრობისაგან. გასაკვირალი არ არის ასეთი ჭორები იმ ბნელი ძალებისაგან, რომლებიც, ოღონდ თავისი სურვილი შეასრულონ, მზად არიან დაპეზღებას და მუქარის წერილებს მიმართონ.

# წვრილ კრედიტის მოღვაწეთა კრებაზე

[23 თებერვალი.

კრება საღამოს 7 საათზე დაიწყო. რათა კრებას შეძლება მიეცეს გაიცნოს ამიერ-კავკასიაში წვრილის კრედიტის საქმის მდგომარეობა წვრილის კრედიტის ინსპექტორებს წინადადება ეძლევათ, წაიკითხონ თავიანთი მოხსენებანი ამ საგნის გამო.

პირველად კითხულობს ტფილისის ინსპექტორი, შემდეგ ბათომის განყოფილებისა, ერევნისა, კავკავისა და შემდეგ საკრედიტო ამხანაგობათა წევრნი.

ინსპექტორთა მოხსენებებიდან სჩანს რომ წვრილი კრედიტის გავრცელების საქმე თუმცა ძალიან მძიმედ, მაგრამ თანდათან წინ მიდის.

ფრიად სამწუხარო სურათი დახატა მხოლოდ ბათომის განყოფილების ინსპექტორმა თავადმა მიქელაძემ, რომელმაც განაცხადა, მცხოვრებნი ძალიან გულგრილად უცქერიან საკრედიტო ამხანაგობას და სახალხო მოძრაობამ ხომ სულ ძირი გამოუთხარა მათს არსებობასო; იყო მაგალითები ამხანაგობათა გაძარცვისაო.

ინსპექტორს მიქელაძეს დასაბუთებული პასუხი გასცა კრების მონაწილემ ი. ქუთათელაძემ, რომელმაც გაიხსენა მე-70 წლები, როდესაც ბათომის ოლქში მთავრობის დაუხმარებლადაც ჰყვაოდნენ საკრედიტო საზოგადოებანი, გაიხსენა უკანასკნელ ხანში იქ მომხდარი ამბები და მისგან გამოწვეული ეკონომიური კრიზისი და დასძინა: ხალხის რევოლუციონერობა კი არ არის მიზეზი ამ საქმის შეფერხებისა, არამედ ის ნივთიერი ხელმოკლეობა, რომელსაც აშ ჟამად ხალხი განიცდისო.

კრება ამ მოხსენებათა მოსმენით დამთავრდა და წვრილ კრედიტის გავრცელების ზომების შემუშავება გადაიდო 24 თებერვალს, დილის 10 საათისთვისა.

## გლეხთა განთავისუფლების იუბილეი პროვინციაში.

**ქუთაისი.** ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ღირსეულად შეეგება ბატონყმობის გადავარდნის 50 წლის იუბილეის: 6 თებერვალს, როგორც ერთ-ერთ ჩემს კორესპონდენციაში იყო აღნიშნული, ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის ლექტორმა გიორგაძემ წაიკითხა ლექცია ბატონ ყმობის განვითარებისა და მისი მოსპობის შესახებ რუსეთში. 20 თებერვალს! 50 წლის იუბილეის აღსანიშნავად ქალაქის თეატრშივე გაიმართა 3 ლექცია: „ბატონ ყმობის გაუქმების მორალური მნიშვნელობა“, წაიკითხა ლ. ნათაძემ, „ბატონ-ყმობის გაუქმების ეკონომიური მიზეზები“, —წაიკითხა ვლ. ემუხვარმა; „ბატონყმობა საქართველოში მე-19 საუკუნეში, წაიკითხა ალექსანდრე გარსევანიშვილმა. სამთავე ლექტორმა ღირსეულად შეასრულეს დაკისრებული მისსია და მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვიეს დამსწრე საზოგადოებაში. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლ. ნათაძის და გარსევანიშვილის ლექციებმა.

ლექციების შემდეგ ადგილობრივ ქართულ გიმნაზიის გუნდმა და სიმებიანმა ორკესტრმა კვაჭანტირაძისა და შარაძის ხელმძღვანელობით შეასრულა რამოდენიმე სიმღერა. ბ.ბ. ი. ბახტაძემ, გ. მუმლაძემ წაიკითხეს ლექსები: პირველმა ჩხიკვაძისა, მეორემ შ. მღვიმელისა.

თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. ნასიამოვნები მსმენელნი დაიშალა ნაშუადღევის 3 საათზე.

ამ დღეს, ესე იგი 19 თებერვალს, ყველა სასწავლებლებში, როგორც სახელმწიფოში აგრეთვე ქალაქის სკოლებშიაც, გადახდილი იქმნა პანაშვიდები ალექსანდრე II სულის მოსახსენებლად.

ცეცხლი.

## ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მდგომარეობა

რედაქციამ მიიღო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის 1909—1910 წ. მოქმედების ანგარიში, რომელსაც მოკლედ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ქუთაისის უნივერსიტეტი სულ ერთი წელიწადია რაც მოქმედებს. ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტს გაუმართავს 56 ლექცია. მონაწილეობა მიუღია 18 ლექტორს. ამათგან ყველაზე მეტჯერ (10) ლექცია წაუკითხავს გრ. გიორგაძეს. წლის განმავლობაში ლექციებს სულ დასწრებია 13,251 მსმენელი, თითო ლექციას ორთა-შუა რიცხვით 474 კაცი

ამის გარდა, ქუთაისის უნივერსიტეტს საკვირაო სკოლა გაუხსნია სოფელ მუხიანში. ფულის მხრით სახალხო უნივერსიტეტის მდგომარეობა ამნაირია: საწევრო გადასახადიდან შესულა 253 მ., ლექციებიდან—878 მ. 25 კ. სრული შემოსავალი უდრის 1129 მ. 25 კ. აქედან საზოგადოებას დაუხარჯავს 312 მ. 58 კ., მაშასადამე, დარჩენილა 818 მ. 67 კ. ამ ფულიდან კასაში ყოფილა 800 მ., მოლარეს კი ხელთ ჰქონია 18 მან. 67 კაპ.

ლექციები, როგორც ანგარიშიდანა სჩანს, სულ სხვა და სხვა თემებზე წაუკითხავთ: 1) საბუნების მეტყველო და საქიმო დარგიდან წაუკითხავთ 17 ლექცია; 2) ისტორიიდან—10 ლექცია, 3) პოლიტიკურ ეკონომიიდან —9 ლექცია. წაკითხული ყოფილა აგრეთვე ლექციები სხვა და სხვა თემებზე.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას თვითონაკ ვერ აკმაყოფილებს ის, რაც გაკეთდა, და იმედოვნებს, რომ მომავალ საანგარიშო წელში ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედება უფრო მტკიცე ნიადაგზე დადგება და მეტს ნაყოფსაც გამოიღებს.

# მოწერილი ამბები

**სოფ. ცაგერი** (ლეჩხუმის მაზრა). ესაა ეხლა შევიტყე, რომ ხვალ ფოსტა აპირობს ქუთაისისკენ წასვლასო, ამიტომ ვისწრაფვი ამ წერილის დაწერას, რომ ერთი თვის კარ-ჩაკეტილობისა და სიჩუმის შემდეგ აქაური ამბებიც გაცნობო მკითხველ საზოგადოებას.

ორ იანვრიდან დაიწყო თოვა; ექვს იანვარს სრულებით დაიკეტა გზები. დაიკეტა ეგრეთ წოდებული „სამხედრო-ოსეთის“ გზა ქუთაისიდან მომავალი ლეჩხუმისა და რაჭისკენ. ახლომახლო სოფლებთანაც შესწყდა გზა და თვით ცაგერშიაც გაძნელდა მისვლა მოსვლა. თოვლი დაბლობებში ერთ საჟენზე მეტი არ მოსულა, მაგრამ ამასაც დიდი გაჭირვება მოუტანა მცხოვრებთ. ბევრი შენობები იმსხვრეოდა. სოფ. ფაყში (ქვემო სვანეთი), გლეხ ლიპარტელიანის ქვითკირის სახლს ზვავი მოაწვა, დაიქცა სახლი და შიგ ამოსწყვიტა აარი სული ადამიანი და პირუტყვები. სოფ. ლეჩხის ახლოს ერთი გლეხი მთა ადგილას ჩარჩა და უინვამ ორივე ფეხები მოსწყვიტა. სოფ. ქორენიშში ზვავმა ერთ მოსახლის კარმიდამო რიანის პირამდე ჩამოიტანა; იქვე დუქანი დაანგრია და პირუტყვები ამოსწყვიტა. რამდენიმე მეჯოგე ამოსწყვიტა მთებში და ჯოგიანად დაიღუპა. უინვამ დამით 18—20 გრადუსს ადიოდა რეომიურით. ეს ორი დღეა, რაც დათბა, თუმცა წუხელის ისევ დაიწყო თოვა და დღესაც სთოვს. ერთ თვეზე მეტია, რაც მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი ვართ და არ ვიცით რა ხდება ქვეყნიერებაზე. ბაზარში პური და ნავთი გამოილია; სოფლიდანაც ვერავინ შემოიტანეს. ფქვილის შოვნა არ არის. წისქვილები სულ დაჰყინა და წყლები დაშრა.

რამდენიმე პირს დეპეშა გაუგზავნიათ ქუთაისში ერთის ნაცნობისათვის და აუწერიათ თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა. ამას გამოუწვევია გუბერნატორის დეპეშა ლეჩხუმის მაზრის უფროსისადმი, სადაც მას უბრძანებს ზომების მიღებას. ამბობენ, ვითომც მაზრის უფროსს ეცნობებინოს, რომ აქ დობრივ მშვიდობერი რიგზეაო. რამდენად მართალია, არ ვიცით.

თოვლი დიდია. სახლებს აქცევს. სასმელ-საჭმელი აღარ არის, მაგრამ მთელი ლეჩხუმის გლეხობა სხვა და სხვა გზებზე გასულა, გზების გასაწმენდად.

მომცინარიძე.

# საფრანგეთის ახალი სამინისტრო

გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟან კრიუპპიმ დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლები ინახულა. განსაკუთრებით დიდ-ხანს ელაპარაკებოდა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს. დიპლომატიურს წრეებზე ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კრიუპპის ზემოაღნიშნულ ელჩებისთვის განუცხადებია, მე სამთა შეთანხმების საკითხში ისეთსავე პოლიტიკას დავადგები, რანაირსაც პიშონი ადგა, რუსეთ საფრანგეთის კავშირსაც მტკიცედ დავიცავო.

ზოგიერთი გაზეთები აღნიშნავენ, სამინისტრო კრიზისი საფრანგეთში იმან გამოიწვია, რომ ბევრი პიშონის დიპლომატიით კმაყოფილი არ იყოვო. გარეშე საქმეთა ინტერესი სულ სხვანაირს მოქმედებას მოითხოვდა პიშონისაგანო. ბევრისთვის ცხადი შეიქმნა, რომ კაბინეტში უსათუოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა დელკასემ, თუნდაც მას გარეშე საქმეთა სამინისტრო არ ებაროსო.

პარიზიდან ატყობინებენ ვენის გაზეთს ახალი კაბინეტი მალე ეკლესიის საწინააღმდეგო მოქმედებას დაიწყებს; დადგება ხანა უკიდურეს რადიკალიზმისაო. როგორც სააგენტოს მიერ გადმოცემულ დეპეშებიდან გაიგებდა ჩვენი მკითხველი, ახალი კაბინეტის მეთაური ამ საკითხში ზომიერებას ჰქადაგებდა.

# ინგლისის ამბები

ლონდონი მეფის დაგვირგვინებისთვის ემზადება. „რუსკ. სლ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, ზოგიერთს ქუჩებზე სახლის ქირა საშინლად გაიზარდაო. ინგლისის მეფესა და დედოფალს გადაუწყვეტიათ დაგვირგვინების დღესასწაულის დროს პრემიერ ასკვიტთან ისადილონ. ეს პირველი მაგალითია ინგლისის ცხოვრებაში, მეფე რომ პრემიერთან აპირებს სტუმრად მისვლას. კონსერვატორები დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ.

ირლანდიის საქმეთა მინისტრს ბირელლის ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წაუკითხავს მოხსენება ირლანდიის ავტონომიის (ჰომრულის) შესახებ. მინისტრს, სხვათა შორის, უთქვამს, ირლანდიისა და ინგლისის გაერთიანება სრულიადაც არ არის საჭიროვო. უკვე მზადდება სათანადო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ირლანდიას ავტონომია უნდა მიენიჭოსო. უმთავრეს დებულებებით ეს კანონ-პროექტი ჰგავს იმ კანონ-პროექტს, რომელიც 1899 წელს გლადსტონმა შეიმუშავაო.

ინდოეთის საქმეთა მინისტრი კრიუ ავად გამხდარა. ლორდთა პალატაში ეს მინისტრი ლიბერალების მეთაურად ითვლებოდა მის მოვალეობას ამიერიდან ლორდი მორლეი შეასრულებს.

ლორდთა პალატის უფლებათა შეკვეცის კანონ-პროექტის მეორედ კითხვის დროს კონსერვატორს ლიტლტონს განუცხადებია, ინგლისის ავტონომიურ ახალ-შენებშიაც არსებობს ზედა პალატაო. ამ ავტონომიათა წარმომადგენლები ზაფხულში უეჭველია მეფის დაგვირგვინებას დაესწრებიან და მაშინ არ შეიძლება არ იკითხონ, რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენში ზედა პალატას არჩენთ, თვით ინგლისში კი მის მოსპობასა თხოულობთო. ახალ-შენთა საქმეების უწყების მდივანმა პასუხი გასცა კონსერვატორთა ორატორს და დაუმტკიცა, რომ ახალ-შენთა ავტონომიური კონსტიტუციები რეფორმებს არ აფერხებენო. მთავრობის მომხრე დეპუტატები ორატორს ტაშის კვრით მიეგებნენ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ჩემს კორესპონდენციებს დ. აბაშიდან „ცნობილ წრეში“ ბევრი აურ ზაური გამოუწვევია, რის გამო ბ. „სვეტოჩს“ „Кутаис. жизнь“-ის № 4-ში და „კვათანის საქალებო სკოლის ერთ მასწავლებელთაგანს“ „სახალხო გაზეთის“ № 227-ში ყოვლად შეუსაბამო საპასუხო წერილები გამოუცხვიათ. ბ. „სვეტოჩი“ თავისის წერილით (г. „Макошвили“ и его журнальная этика)“ ნათლად გვიმტკიცებს, რომ მიუდგომელ მსჯელობაზე მწყრალად ყოფილა „სვეტოჩი“ და „ხმაურა“ სიტყვებით გაჭიანურებულ წერილში არსად, გარდა რუსულ ენისა, ჩემ მიერ აღნიშნულ ფაქტების სინამდვილეს არ ეხება, ზოგან ჩემი სიტყვებიც დაუმახინჯებია. ბევრს განგაშს აყენებს „ქ-ნ ქობულიაზე“, რომელსაც ვითომც თავისს სიტყვაში უნდა აღენიშნოს „ანორმალური პირობები სკოლისა“?!! სინამდვილით კი ბიბლიოთეკის წევრთა კრებაზე ბიბლიოთეკის შესახებ ილაპარაკა „ბ-ნ“ ქობულიამ, გაზეთში შეცდომით გამოვიდა „ქ-ნ“ ქობულია. ეს შეცდომა ყველასათვის ცხადი იყო, მით უმეტეს რომ აბაშაში, „ქ-ნ ქობულია“ არავინ გვყავს, არის მხოლოდ „ქ-ნი ქობულიასი“. მეორე წერილის ავტორი ცნობებს სკოლის შესახებ თითქმის არ უარს ჰყოფს, გარდა რუსულ ენის შესახებ. ამიტომ ამ უკანასკნელის თაობაზე ორსავე ავტორს ვუპასუხებ შემდეგს: მდგომარე სამოსწავლო წლის სექტემბრიდან კვათანის საქალებო სკოლის პირველ განყოფილებაში რუსულ ენას სისტემატიურად გადიოდნენ. მათდა სამარცხვინოდ აი დამამტკიცებელი საბუთები: 1) ხსენებულ განყოფილების მიერ მოწაფეების რუსულ ენის ცოდნა; 2) დაიწერა ინსპექტორთან გასაგზავნად რუსულ ენაზე გავლილის პროგრამა, გადაწერა გარეშე ხელმა; 3) ნადეჟდა კაჭარავამ საცდელ გაკვეთილზე პირველ განყოფილებაში დაიმუშავა შემდეგი მასალა: „Описаніе классной комнаты“, 4) ის ადგილი საკლასო ჟურნალისა, სადაც რუსულს ენაზე გავლილი მასალა იყო ჩაწერილი მან. კიანმა ხელმა ამოხია და ჩემი წერილის გამოსვლის შემდეგ დაჰკარგა.

თვინიერ ამას მივმართავ თვით პირველ განყოფილების მასწავლებელ ქალს იქონიოს გამბედაობა და დაამტკიცოს ჩემი ცნობა რუსულ ენის შესახებ.

მაკოშვილი.


# განცხადებანი

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
ველიგოგნიაშვის ქ. N 9, გარანდოვის მეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანიშვილი და ი. მ. ზაგლუდოვსკი 1—5 საათამდე და ხაღ. 7 ნახ.—8 ნან. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მეძავთა შემოწმება.

შეხვედრის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ჰატას პრეპარატით 06 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—34)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი ხიდთან
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Циціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—36)

ძმათა ავსარქისოვების
ბაღეულობაში
იყიდება საზღვარ-გარეთული, რუსული და საუკეთესო ადგილობრივი
სანერგე ხეცილები
ხელმისაწდომ ფასებში.

ადრესი; სურა (ამიერ კავკ. რკ. გზა) ავსარქისოვი. კატალოგები მოთხოვნილებისათანავე უფასოდ იგზავნება. (5—1096—2

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

დოქტ. ნავასარდიანის
ყოველ დღე, კვირა...
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტატიურად
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიან.

„ნაკადული“
(წელიწადი მეშვიდე)
1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს
24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

ჩაუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურთ ქარვასლაში).

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილ.

# მისნობის საიდუმლოებანი.



როგორ უნდა გაატაროთ დრო მოუწყენლად, საზოგადოებაში სასიამოვნო იყვნეთ, დაკვირვება განივითაროთ, ნამდვილ გულთმისნად იქცეთ და ბევრი ფული შეიძინოთ?

შეისწავლეთ გულთმისნობის საიდუმლოებანი, აღფრთოვანების გამომწვევი თვალთმაქცობა, ახალ, შევსებულ წიგნის შემწეობით

✦ მისნობის საიდუმლოებანი, ✦

რომელიც 539 გვერდს შეიცავს, 318 განმარტებითი სურათი აქვს ჩართული, რის დახმარებითაც ადვილად შეისწავლით 240 ხალხისა და ხერიოზულ თვალთმაქცურ მისნობას: ქაღალდებით, ფულით, ბეჭდებით, საათით და სხვა, ერთის სიტყვით, ყველა იმ სახეობას, რითაც აცვიფრებენ ქვეყნიერობას მსოფლიოდ ცნობილი გულთმისნობის პროფესორები, მაგ.: 4 რვიანი როგორ უნდა აქციოთ ორიანებად, შავი—წითლად და სხვა. თითებში მაგრად დაჭერილ ორ ქაღალდს ერთის ბრძანებით ერთი-მეორის ადგილი დაიჭერინოთ. ნიშან-დადებული ფული მაგიდის ქვეშიდან მეორე ხელში უჩინრად გადაიტანოთ. დანიშნული ფული როგორ უნდა გააქროთ ცხვირსახოციდან და ვაშლის გულიდან ან ფორთოხლიდან ამოაძროთ, რომელიც წინდაწინვე გიჩვენებიათ. საათზე გამოიცნოთ ციფერბლატი, საათი, რომელიც მაყურებელთაგანმა ჩაიფიქრა. ხელსახოცი გადაფარებულ წყლით სავსე ჭიქა როგორ უნდა გააქროთ და მაყურებლის ჯიბიდან ამოიღოთ. ხელსახოცი დასჭრათ, დასწვათ და მერე სანთლის გულიდან მთელი გამოიღოთ. ქუდში კაცი ჩამოჰკიდოთ და მრავალი სხვა თვალთმაქცობა. რადგანაც ამ საგულისყურო წიგნს დიდი გასავალი აქვს, ფასი ნახევრად დავუკელით: წინანდელ 3 მ. 50 კ. მაგიერ, ეხლა ყიდით მხოლოდ 1 მ. 75 კ. ღირს. გზავნით ფასდადებით და უბეოდ.

მისამართი: А. Шафрану, Варшава, Граничная № 5. Отд. № 113. მიწერ-მოწერა რუსულად უნდა სწარმოებდეს. Метцль. 16011. (1—1102—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მაღაზიას ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
ბარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან — 2 მან. 40 კ
და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
მიიღეთ ახალი ნავაგა
აგრეთ იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—110)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა